SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396 | ივლისი | 2020 | №1

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე

კომპანიის სიახლეები / ტექნიკური სიახლეები / თანამშრომლები / ჩვენი ქალაქი / კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა / სპორტი / კულტურა / ისტორია

ტყიბულის შახტებზე სრული რეკონსტრუქცია იგეგმება!

გვ.2

უსაფრთხოების კონტროლი კიდევ უფრო გამკაცრდა!

გვ.3

ტყიბულის შახტებზე უსაფრთხოების აუდიტი გერმანული კომპანია DMT-ს მიერ განხორციელდა

გვ.3

თანამშრომლებსა და ადმინისტრაციას შორის შეთანხმება შედგა

გვ.4

47 წელი შახტაში

გვ.5

ტყიბულის სიახლეები

გვ.6

სოციალური პრობლემების მქონე ოჯახებს პირველადი საჭიროების საკვები პროდუქტები გადაეცათ

შახტების რეკონსტრუქციისა და განვითარების გეგმა განხორციელების ფაზაში შედის!

„საქნახშირში“ შახტების განვითარებისა და სრული რეკონსტრუქციის გეგმა განხორციელების აქტიურ ფაზაში შედის. გეგმის მიხედვით, მოხდება ინფრასტრუქტურის სრული განახლება, უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად გატარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები, თანამშრომელთა წახალისებისა და დაინტერესების მიზნით მოხდება ახალ, ბონუსური ანაზღაურების სისტემაზე გადასვლა და შედეგად, გაიზრდება მოპოვება და რეალიზაცია.

გეგმაში მნიშვნელოვანი ნაწილი **შრომითი რესურსების სტრუქტურის შეცვლას** უკავია. შემუშავებულია საწარმოს ახალი სტრუქტურა, რომელშიც მოხდა საწარმოს მენეჯმენტის ოპტიმიზაცია, ანალოგიური ფუნქციების უბნებისა და ჯგუფების შერწყმა, რაც საშუალებას იძლევა, რომ გამოთავისუფლდეს არაეფექტიანად გამოყენებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ვაკანტური თანამდებობები კი შეივსოს შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით. ეს ყველაფერი პირდაპირ ზეგავლენას მოახდენს საწარმოს ეფექტიან მუშაობასა და თანამშრომლების კმაყოფილებაზე.

კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი **შრომის ანაზღაურების სისტების სრულყოფაა.** ეს გულისხმობს საათობრივი სატარიფო განაკვეთისა და თანრიგების შემოღებას, შრომის ანაზღაურების საბონუსე სისტემის დანერგვას და ანაზღაურების გაცემას მთლიანი მოპოვებისა და გადაჭარბებული მოპოვების მოცულობის შესაბამისად (როგორც უბნებში, ისე მთლიანად შახტაზე). მომპოვებელი, გამყვანი უბნების პრემიის ზრდის მაქსიმალური ზღვარი 30%-ს შეადგენს, ხოლო საერთო საშტატო უბნის პრემიის ზრდის მაქსიმალური ზღვარი 20% იქნება.

მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს კამერების დამუშავების ტექნოლოგიური სქემის პრინციპების შეცვლა. ახალი ტექნოლოგიური სქემის შესათანხმებლად საჭირო დაკორექტირებული მასალები გადაეგზავნა ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს. ასევე, დაგეგმილია ამწე დანადგარების კამერებში ამწე მოწყობილობების სარემონტო სამუშაოების ჩატარება და ჭაურის არმირების რემონტი. ასევე, კიბის განყოფლების გარემონტება.

შახტის სრული რეკონსტრუქციის გეგმის მნიშვნელოვანი მიმართულებებია: კამერების დამუშავების ტექნოლოგიური სქემის პრინციპების შეცვლა, ველის მომზადება გამოსასვლელი წმენდითი ხაზის შესავსებად, ინფრასტრუქტურის განახლება, სატრანსპორტო ჯაჭვის მომზადება, მინდელის სახელობის შახტის მაგისტრალურ გამონამუშევრებში საგზაო მეურნეობის აღდგენა, გამწევი ელმავლებისა და ვაგონების პარკის მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, სავაგონო პარკის გაზრდა საჭირო რაოდენობამდე, შახტის წყალმქცევი კომპლექსის რეორგანიზაცია წყლის ამოტუმბვის სტაბილური მუშაობის უზრუნველსაყოფად, სატვირთო ავტომობილების გარემონტება (შემდგომში, სატვირტო ავტომობილების რაოდენობის გაზრდა მოპოვების გაზრდის შესაბამისად), ზედაპირის ტექნოლოგიური კომპლექსის მოწყობილობების ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნებაზე ზრუნვა და გამამდიდრებელი ფაბრიკის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შახტის სრული რეკონსტრუქციის გეგმა, თავისი დეტალური ფინანსური ანგარიშით, უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას, თანამშრომლებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას, მათი ანაზღაურების გაუმჯობესებას, საწარმოს შეუფერხებელ, ეფექტიან მუშაობას და სამომავლოდ კი, ზოგადი მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის მასშტაბით.

ბადრი არაბიძე („საქნახშირის“ დირექტორის მოადგილე წარმოების დარგში): „შახტის სრული რეკონსტრუქციის გეგმა შემუშავებულია სხვადასხვა დარგის, მიმართულების და პროფესიის მიხედვით. მოხდება საშახტო სტრუქტურის რეორგანიზაცია და სრულყოფა. იმ ორი წლის განმავლობაში, როდესაც საწარმო გაჩერებული იყო, ბევრი პრობლემა დაგროვდა. მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი და ამ დროისათვის, ინვესტიციებიც ჩადებულია. როგორც ვიცი, ამ პრორამის მიხედვით, საერთო ჯამში, დაახლოებით 13 მილიონი ლარზე მეტი თანხა იქნება მიზნობრივად ათვისებული. 1 წლის განმავლობაში ქვა-ნახშირის მოპოვება 300 000 ტონამდე მაინც უნდა ავიდეს. უბნების რაოდენობა უნდა გაიზარდოს (ახლა 3 უბანი გვაქვს და უნდა გახდეს 4). კომპანიის მიზანია წარმოების გაზრდა, თანამშრომლების კმაყოფილება და შახტის განვითარება. გრძელვადიანი პროგრამა კი უფრო დიდ მასშტაბებზე გადის. დღეს, ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემად ხელფასების საკითხი ითვლება. ბონუსურ სისტემაზე გადასვლა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს თანამშრომელთა ანაზღაურებას - რაც უფრო მეტი ხარისხიანი პროდუქციის მოპოვება იქნება შესაძლებელი, მით მეტ ანაზღაურებას მიიღებენ ისინი. რეკონსტრუქციის გეგმის ფარგლებში მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა, გაიზრდება შრომის უსაფრთხოება და გაიზრდება წარმოება. ეს პირდაპირ იმოქმედებს დასაქმებულების კეთილდღეობაზე.“

გია ბაბუხადია (მთავარი ინჟინერის მოადგილე): „გეგმის დამუშავების და განხილვის პროცესში ყველა რგოლის თანამშრომელია ჩართული. სახელფასო საკითხის განხილვებისთვის თანამშრომლები 10 ჯგუფად არიან დაკომპლექტებულები. მე უსაფრთხოების, ბურღვა-ფეთქითი სამუშაოების წარმოების, ვენტილაციის, გამონამუშევარი სივრცეების დამუშავების მიმართულებით ვმუშაობ. ახალი ხელმძღვანელობის შემოსვლისთანავე სრულიად ახალი ბურღვა-ფეთქითი პასპორტები შევიმუშავეთ, რომლებიც დამტკიცდა ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციის მიერ. ასე ვთქვათ, გავამკაცრეთ უსაფრთხოების მიმართულება. მაქსიმალურად ვიცავთ უსაფრთხო მანძილებს, რომ ნებისმიერი გადაცდომა გამოირიცხოს. ჩვენი პრიორიტეტი არის უსაფრთხოების დაცვა, ყველა თათბირი ამ თემით იწყება. უსაფრთხოების დაცვისთვის, პირველ რიგში, თანამშრომლების მხრიდან წესების დაცვაა საჭირო. ეს თითოეულმა მეშახტემ უნდა გაიგოს. რეკონსტრუქციის გეგმის წყალობით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მდგომარეობა, ნახშირის მოპოვება და მუშაობა ბევრად გაადვილდება. კომპანია ორიენტირებულია იმაზე, რომ დაინერგოს ახალი ტექნოლოგიები და სამუშაო პროცესები გახდებს უფრო უსაფრთხო და მარტივი. სამომავლოდ, ნახშირის ამოტანა ჰორიზონტალური, დახრილი გვირაბებით მოხდება. პერსპექტივაში კი, თბოელექტროსადგურის მშენებლობა იქნება ჩვენი კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რადგან რეალიზაციის პრობლემა მოიხსნება.

ოლეგ როზუმი („საქნახშირის“ დირექტორი): 2020 წლისთვის შემუშავებულია ინვესტიციის გეგმა 13 მილიონი ლარით. თუ ეს გეგმა არ შესრულდება, გარკვეული დროის შემდეგ წარმოება შეიძლება გაჩერდეს (დაიხუროს) საწმენდი ხაზის არქონის და დანადგარების ცვეთის გამო. გეგმა მოიცავს წარმოების მუშაობის ყველა მიმართულებას, აქცენტი კეთდება სტაციონალური ობიექტების აღდგენაზე და შახტის საწმენდი ხაზის აღდგენა-შევსებაზე. რაც შეეხება სტაციონალურ მონაკვეთებს, აქცენტი კეთდება საშახტო აწევაზე, წყალქცევის კომპლექსისა და განიავების ვენტილატორზე. ეს არის შახტის ძირითადი ობიექტები და რომელიმე მათგანის გაჩერება გამოიწვევს შახტის დროებით ან სრულ გაჩერებას. ეს ობიექტები დიდი ხნის განმავლობაში, ყოველგვარი შეკეთებისა და რემონტის გარეშე იყო, რამაც ყველა დანადგარის ფიზიკურ ცვეთამდე მიგვიყვანა. ამ დროისათვის, რიგი დანადგარები შესყიდულია და დაწყებულია სარემონტო სამუშაოები მოცემული ობიექტების აღსადგენად. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია საშახტო ტრანსპორტის აღდგენა სამუშაო ჰორიზონტებზე. ეს მიზანმიმართული სამუშაოები 350 ჰორიზონტზე წარმოებს და 800 გრძივი მეტრის გზა უკვე რეაბილიტირებულია. სამუშაოს დასრულება ხელს შეუწყობს მუშების 350 ჰორიზონტზე მექანიზირებულად გადაყვანას და 2020-2024 წლებში მოპოვებითი სამუშაოების განხორციელება-განვითარებას.

ალექსანდრე შაორშაძე (შახტის ცვლის უფროსი): ძალიან დროული და საჭირო იყო ეს რეკონსტრუქცია. ბევრი რამ გაკეთდა. გზები უმეტესწილად მოწესრიგებულია. უსაფრთხოების მხრივაც ყველაფერი საჭიროებისამებრ სრულდება. შახტის რეკონსტრუქცია სამომავლოდ ძალიან კარგი საქმეა, მთავარია განხორციელდეს. მისი განხორციელება კი დამოკიდებულია ორივე მხარეზე - როგორც კომპანიაზე, ისე თითოეულ თანამშრომელზე.

შახტებზე უსაფრთხოების კონტროლი კიდევ უფრო გამკაცრდა!

ტყიბულში, მინდელისა და ძიძიგურის შახტების თანამშრომლების მოთხოვნის შესაბამისად, უსაფრთხოების კონტროლი კიდევ უფრო გამკაცრდა.

შახტა რთული ინფრასტრუქტურული ობიექტია, სადაც ლოჯისტიკური ჯაჭვის მიხედვით, თანამშრომლები მუდმივ რეჟიმში გადაადგილდებიან, ხდება სხვადასხვა ტვირთისა და ქვა-ნახშირის გადაზიდვა. მოპოვების გარდა, შახტებში აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს ინვესტირებისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები. შესაბამისად, გაზრდილია დატვირთვა. ნებისმიერი მცირე დარღვევა შესაძლოა გახდეს საავარიო სიტუაციის გამომწვევი. ამიტომ, ხელმძღვანელობამ, თანამშრომლების მოთხოვნის შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოხდეს უსაფრთხოების წესების კიდევ უფრო გამკაცრება; კატეგორიულად იკრძალება არასანქცირებული გადაადგილება შახტებში, ასევე იკრძალება ნებისმიერი მექანიზმის არაკონტროლირებადი გამოყენება.

იქიდან გამომდინარე, რომ უსაფრთხო სამუშო გარემოს უზრუნველყოფა კომპანია „საქნახშირის“ პრიორიტეტია, უსაფრთხოების წესების ნებისმიერი დამრღვევი კანონის ფარგლებში, მკაცრად დაისჯება.

ტყიბულის შახტებზე უსაფრთხოების აუდიტი გერმანული კომპანია DMT-ს მიერ განხორციელდა!

მსოფლიოს მასშტაბით, სამთო-მოპოვებითი სფეროს მთავარ პრიორიტეტს მაღაროებსა და შახტებზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა და უსაფრთხოების სტანდარტების სრული დაცვა წარმოადგენს. საქართველოში, კერძოდ კი ტყიბულში არსებულ შახტებზე უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესების მიმართულებით სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. ტყიბულის შახტებზე უსაფრთხოების აუდიტი გერმანული კომპანია DMT-ს მიერ ჩატარდა. DMT-ს ბიზნესის განვითარების მენეჯერმა კავკასიის რეგიონში, გიორგი ობოლაშვილმა კომპანია DMT-ს საქმიანობასა და ქვა-ნახშირის ინდუსტრიაში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა:

„DMT-ს წინამორბედი კომპანია გერმანიის ქვა-ნახშირის ინდუსტრიაში 1734 წელს გაჩნდა და მას შემდეგ, გერმანიის და საერთაშორისო ქვა-ნახშირის ინდუსტრიას ემსახურება. DMT-ს წინამორბედი კომპანია შახტებში უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, ასევე მეშახტეებისა და ინჟინრების განათლების დონის ასამაღლებლად და გასაკონტროლებლად შეიქმნა.

1900-იანი წლების დასაწყისში, სამთო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები კომპანია RAG Coal-ის (German Coal Company) ქოლგის ქვეშ დაფუძნდა, ხოლო 1990 წელს ყველა ეს სერვისი და კვლევითი ცენტრი გაერთიანდა, რათა ჩამოყალიბებულიყო Deutsche Montan Technologie (DMT) - საინჟინრო და საკონსულტაციო კომპანია ქვანახშირის ინდუსტრიის სიღრმისეული ცოდნით. 2007 წელს DMT შეუერთდა TÜV NORD GROUP- ს, გერმანიის უმსხვილეს საინსპექციო და ტესტირების კომპანიას, 1 მილიარდ ევროზე მეტი წლიური ბრუნვით, 10.000-ზე მეტი თანამშრომლით და ოფისებით 70 ქვეყანაში. დღეს, DMT ოპერირებს თითქმის ყველა ქვეყანაში და ოფისები აქვს როგორც გერმანიაში, ისე დიდ ბრიტანეთში, სამხრეთ აფრიკაში, ინდონეზიაში, თურქეთში, ინდოეთში, ავსტრალიასა და კანადაში.

რა გამოწვევების წინაშე დგანან სამთო-მოპოვებითი სექტორში მომუშავე კომპანიები და რა არის წარმატებული მუშაობის მთავარი ინდიკატორი?

როგორც საერთშორისო დონეზე, ისე საქართველოში არსებული გამოწვევები შემდეგია: ოპერირების სოციალური ლიცენზია, იურიდიული და ფისკალური სტრუქტურა, სამთავრობო ადმინისტრაცია და მმართველობა, სამთო სამუშაოების ინჟინერია და კონსულტაცია. წარმატებული მუშაობის მთავარი ინდიკატორი კმაყოფილი მომხმარებელია, რომელსაც აქვს დროულად და ბიუჯეტის ფარგლებში მიწოდებული პროექტები და მომსახურები; ასევე უსაფრთხოებით, დაცულობით და ბენეფიტით კმაყოფილება, რომელსაც უნდა ელოდო DMT-სგან.

როგორია უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები შახტებსა და მაღაროებზე?

არ რსებობს ზოგადი, ყოვლისმომცველი საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც ყველა ქვაყანაში და კანონმდებლობაში იმოქმედებს. საშიშროებებთან და რისკებთან მიმართებაში თითოეულ საბადოს საკუთარი მახასიათებლები აქვს და სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ეკონომიკური და უსაფრთხო ოპერირებისთვის, სამთო საკონსულტაციო და საინჟინრო კომპანიები, ადგილობრივ სამთო მარეგულირებელ ორგანოებთან მჭიდროდ და შეთანხმებულად თანამშრომლობენ. ამასთან, არსებობს ძირითადი პრინციპებიც, რომლებიც დაფუძნებულია ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებზე და რომლებიც გამოქვეყნებულია სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, აგრეთვე სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ - როგორიცაა სამრეწველო, სავაჭრო პალატები, პროფკავშირები და ა.შ.

რა ეტაპები უნდა გაიაროს კომპანიამ რომ შექმნას უსაფრთხო სამუშაო გარემო?

აუცილებელია მაღაროს/შახტის უსაფრთხოების მაკონტროლებელი პირობების შესწავლა (მაგ. გეოტექნიკური პარამეტრების, ჰიდროგეოლოგიური მდგომარეობის, გაზის შემცველობის, წვის, მტვერის და ა.შ.), ასევე რისკებისა და ამ რისკების შემცირების მატრიცის შემუშავება. შახტის ინფრასტრუქტურა და მოპოვება-წარმოება მოითხოვს დაგეგმვას რისკის მატრიცის საფუძველზე და კვლევებს-გაზომვებს რისკების შესამსუბუქებლად, მაგ. დე-გაზაცია და დეგანტვირთვა.

მოგვიყევით „საქნახშირისა“ და DMT-ს თანამშრომლობის შესახებ, რა სამუშაოები ხორციელდება ამჟამად?

DMT-სა და „საქნახშირის“ საქმიანი ურთიერთობა 2017 წელს დაიწყო. გავუწიეთ საკონსულტაციო მომსახურება, ხოლო 2018 წელს, საქართველოს მთავრობის ბრძანებით, DMT-მ ტყიბულის შახტებში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების აუდიტი ჩაატარა. გავაკეთეთ დეტალური ანგარიში, თუმცა გარკვეული პერიოდის განმავლობაში შახტები დაკეტილი იყო და შესაბამისად, ჩვენი რეკომენდაციების შესრულება ამ პერიოდის განმავლობაში ვერ მოხერხდა.

გასულ წელს, ახალი ხელმძღვანელობა დაგვიკავშირდა, წარმოგვიდგინა განახლებული სამოქმედო გეგმა და მოითხოვა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების აუდიტის ხელახლა ჩატარება. აღნიშნული აუდიტი უკვე ჩატარებულია და ამჟამად საბოლოო დეტალებს ვათანხმებთ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კომპანიის მიდგომა შახტებზე უსაფრთხოების გაუმჯობესების მხრივ, ძალიან სერიოზულია და ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს, რომ შახტებზე უსაფრთხო სამუშაო გარემო შეიქმნას. ისინი აქტიურად და ღიად თანამშრომლობენ ჩვენთან, რათა ერთად მივიდეთ სასურველ შედეგამდე. პირადად მე, ძალიან პოზიტიური გრძნობა მაქვს. კომპანიის მოთხოვნით, საბოლოო რეკომენდაციების შემდეგ, რისკების შემცირების მიზნით DMT-ის ექსპერტები შახტებში პერიოდულად გააკონტროლებენ სამუშაო პროცესებს.

ზოგადად, როგორ კონტროლდება შახტებზე უსაფრთხოების სტანდარტები?

უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ხდება გაზის, მტვრის და სხვა გეოტექნიკური და წარმოების უსაფრთხოების პარამეტრების მუდმივი მონიტორინგი. ხდება რეგულარული შემოწმება და მაღაროების მუშაობაზე ზედამხედველობა; პოტენციური სამთო სამუშაოების მქონე ტერიტორიების დაზვერვა-შესწავლა, წარმოების და უსაფრთხოების პარამეტრების მოდელირება და პროგნოზირება, სამთო ოპერაციებიდან ფაქტობრივი და მიმდინარე მონაცემებით ჯვარედინი შემოწმება.

გარდა კომპანიის მხრიდან ჩატარებული ტექნიკური სამუშაოებისა, კიდევ რა არის საჭირო შრომითი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად?

ნებისმიერ ინდუსტრიაში, ყველა ტექნიკური ოპერაცია ატარებს მინიმალურ რისკებს. ტექნიკური პროცედურები შექმნილია იმისათვის, რომ მოხდეს ნებისმიერი სახიფათო ქმედების თავიდან აცილება. თუმცა, ტექნიკური ან ინდივიდუალური ხარვეზები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები შეუძლებელია სრულიად გამორიცხული იყოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ყველასთვის, ვინც სამთო ინდუსტრიაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობს, მათთვის უსაფრთხოების გაუმჯობესება მუდმივი ამოცანაა. პირველი 3 წლის განმავლობაში, როდესაც DMT-ს გუნდს შევუერთდი, ერთ-ერთ ადგილობრივ შახტაში კვლევას ვატარებდი. კარგად მახსოვს, რომ სამთო რევიზორები თვალის დახუჭვაზეც კი რეაგირებდნენ.

აქედან გამომდინარე, ცხადია, თითოეულმა მეშახტემ მკაცრად უნდა დაიცვას სამთო რეგულაციები. ისინი მომზადებულები არიან, მიღებული აქვთ უსაფრთხოების სისტემის ყველა საჭირო ინდუქცია და გააჩნიათ უსაფრთხოების კულტურა. რეკომენდაციები ყოველთვიურად შეგვიძლია დავწეროთ, მაგრამ დღის ბოლოს სწორედ მეშახტეები დგებიან იმ გამოწვევის წინაშე, რასაც ამ რეკომენდაციების შესრულება ჰქვია. ისინი არიან ცხელ ხაზთან. შახტებში მომუშავე უსაფრთხოების ექსპერტებისთვის, უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით, უსაფრთხოების კულტურის განხორციელება არის უზარმაზარი, გრძელვადიანი ამოცანა.

ტყიბულში უნდა განახლდეს უსაფრთხოების განყოფილება, დირექტორატსა და ზოგადად, მეშახტეებთან მიდგომა უნდა გამკაცრდეს და გაუმჯობესდეს. საჭიროა მუდმივი ტრენინგები, აღჭურვილობის, პროცესებისა და პროცედურების მუდმივი ოპტიმიზაცია.

„საქნახშირის“ თანამშრომლებსა და ადმინისტრაციას შორის შეთანხმება შედგა!

კომპანია „საქნახშირის“ თანამშრომლებსა და ადმინისტრაციას შორის შეთანხმება შედგა. აგვისტოში „საქნახშირის,“ კომპანიის თანამშრომლებისა და პროფკავშირების გაერთიანების **სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმება იგეგმება**, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი როგორც დამსაქმებლის, ისე დასაქმებულების უფლება-მოვალეობები და მათ შესრულებას პროფკავშირი გააკონტროლებს.

შახტის განვითარება ჯერ კიდევ 2019 წლის ნოემბერში შექმნილი გეგმის მიხედვით წარიმართება, რომლის ძირითად მიმართულებებს ინფრასტრუქტურის შეცვლა, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა და ანაზღაურების ახალ, ბონუსურ სისტემაზე გადასვლა წარმოადგენს. სწორედ ამ საკითხების განხილვა მოხდა 16 ივნისს, მეშახტეებსა და „საქნახშირის“ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის.

„ანაზღაურების ახალ სისტემაზე გადასვლა ჯერ კიდევ ნოებრიდან იყო ჩვენი გეგმის ნაწილი. ეს გახლდათ დაგეგმილი პროექტი და ჩვენ ამ გეგმას მივყვებოდით. სამწუხაროდ, მსოფლიო პანდემიის გამო ეს პროექტი გარკვეული პერიოდით შეფერხდა. თუმცა, ახლა კვლავ ვაგრძელებთ გეგმის მიხედვით მუშაობას, შახტის განვითარებაზე და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვას“ - განაცხადა საქნახშირის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, მიხაილ სოცკიმ.

„ძიძიგურის“ შახტის ამწე მექანიზმზე სარემონტო სამუშაოები დასრულებულია!

2020 წლის 21 მაისს, კომპანია „საქნახშირის“ ადმინისტრაციულ შენობაში, ხელმძღვანელობამ ადგილობრივი პროფკავშირების წარმომადგენლებთან და „ძიძიგურის“ სახელობის შახტის თანამშრომლებთან ერთად სამუშაო შეხვედრა გამართა, რომლის დროსაც მოხდა N 4 უბნის რეაბილიტაციის გეგმის განხილვა.

გეგმის პირველ ნაწილს ამწე დანადგარის, ე.წ. „კლეტის“ დათქმულ ვადებში გარემონტება წარმოადგენდა, რაც წარმატებით განხორციელდა. ამწე დანადგარის სარემონტო სამუშაოებამდე გამოიცვალა მზიდი ბაგირი, შემდგომ კი მოხდა „კლეტის“ გარემონტება და დათქმულ ვადებში ექსპლუატაციაში გაშვება.

47 წელი შახტაში

ბადრი არაბიძე კომპანია „საქნახშირის“ ერთ-ერთი ყველაზე ძველი თანამშრომელია. სამთო-მოპოვებით სფეროში მუშაობა 20 წლის ასაკში, მუშის პოზიციიდან დაიწყო. უკვე 47 წელია საყვარელ საქმეს აკეთებს და ამასობაში, მოსაყოლიც ბევრი დაუგროვდა.

ბადრი არაბიძე, დირექტორის მოადგილე წარმოების დარგში: ქვა-ნახშირის წარმოაებას დიდი ისტორია აქვს. ნახშირის აღმოჩენა 1846 წლიდან ფიქსირდება. იყო ასეთი პიროვნება, საყვარელიძე. მის სახელს უკავშირდება ტყიბულის ტერიტორიაზე ქვა-ნახშირის მოძიება. თავიდან, ქვა-ნახშირის კუსტარული გამოყენება ხდებოდა სამჭედლოებში. ახლაც არსებობენ სხვადასხვა სოფლებში მჭედლები, რომლებიც ქვა-ნახშირს იყენებენ. შემდეგ თანდათანობით მოხდა დაძიება. დადგინდა რომ არსებობდა მარაგები და დაიწყო აქტიური გამოყენება. თავდაპირველად მისი ტრანსპორტირება ფოთში ურმებით ხდებოდა (იმ პერიოდში ქვა-ნახშირი საზღვაო ფლოტში გამოიყენებოდა). შემდეგ უფრო მოთხოვნადი გახდა და 1887 წელს ტყიბულში რკინიგზაც შემოიყვანეს.

თავიდან, ქვა-ნახშირს ხალხი კუსტარულად მოიპოვებდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში დაიწყო მისი ზედაპირული წესით მოპოვება (ქვა-ნახშირს ამოსავალი ჰქონდა ზედაპირზე). თანდათან დაიწყო მოცულობების გაზრდაც და ამიერკავკასიის რეგიონში ძალიან მნიშვნელოვანი გახდა მისი წარმოება (ტყიბულის გარდა ქვა-ნახშირს მოიპოვებდნენ ტყვარჩელში და ახალციხეშიც. ახალციხეში უფრო დაბალი ხარისხის, მურა ნახშირია).

მოგვიანებით, იმდენად მნიშვნელოვანი გახდა ქვა-ნახშირის წარმოება, რომ გაჩნდა ქალაქი - განვითარდა ინფრასტრუქტურა, გაკეთდა საბაგირო გზები, გაიხსნა სკოლა, სპორტული მოედნები და ფაქტობრივად, მთელი ქალაქი ქვა-ნახშირის მრეწველობის ბალანსზე იყო. შეიძლება ითქვას, რომ ჯერ იყო ქვა-ნახშირი და შემდეგ გაჩნდა ქალაქი. ტყიბულში დაახლოებით 43000 ადამიანი ცხოვრობდა. ძალიან საინტერესო და ლამაზი ქალაქი იყო, თავისი სამთო ინტელიგენციით. 18 სამრეწველო ორგანიზაცია განვითარდა და ძალიან ბევრი მოწვეული სპეციალისტიც ცხოვრობდა - სხვადასხვა რეგიონიდან განაწილებული ადამიანები აქ დარჩნენ, დაოჯახდნენ და დღემდე აქ ცხოვრობენ.

როდის დაიწყო მიწისქვეშა შახტების მშენებლობა?

მიწისქვეშა შახტების მშენებლობა მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. 1941 წელს ტყიბულში მიწისქვეშა დამუშავების მოპოვებით პირველი შახტა, „სტალინის სახელობის“ შახტა გახისნა (ახლა უკვე „დასავლეთის შახტა“). მომდევნო წელს, მსოფლიო ომის პერიოდში გაიხსნა „ლენინის სახელობის“ შახტა, რომელსაც ახლა „ძიძიგურის შახტას“ ეძახიან. 1946 წელს არსებობდა „სერგო ორჯონიკიძის“ სახელობის შახტა, შემდგომ წლებში „წულუკიძის შახტა“ დაერქვა. „მინდელის შახტა“ ყველაზე ახალია, ის 1973 წელს გაიხსნა და ახლაც ფუნქციობს. ელიზბარ მინდელი იყო წარმოშობით რაჭველი, დიდი სამთოელი, იმ პერიოდში მძიმე მრეწველობის მინისტრის მოადგილეც კი იყო. ტყიბულში იმ დროს უკვე 4 შახტა ფუნქციობდა და წარმადობამ მილიონ ხუთასიათას ტონას მიაღწია.

ქვა-ნახშირის მოპოვება მძიმე მრეწველობის ერთ-ერთი დარგია და არც ისე მარტივი სამუშაოა. იყო დრო, რომ მეშახტეები ომში არ მიჰყავდათ, რადგან ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალა ქვა-ნახშირის მრეწველობა იყო. დღესაც, მსოფლიო ელექტროენერგიის 50 % მოდის ქვა-ნახშირის თბოელექტროსადგურებზე. მიუხედავად იმისა, რომ წინა პლანზე წამოვიდა ჰიდროელექტროსადგურები და ატომური ენერგია. ენერგია იმდენად მოთხოვნადია, რომ ქვა-ნახშირის მნიშვნელოვანი წილი ენერგეტიკაში გამოიყენება. ქვა-ნახშირის როლი შეუცვლელია მეტალურგიაშიც.

მიუხედავად ამისა, იყო პერიოდიც, როდესაც ქვა-ნახშირის რეალიზაციის მხრივ ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო...

დიახ, 70-იანი წლებიდან, გაზის და ნავთობის წარმოების გაზრდასთან ერთად, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ქვა-ნახშირის რეალიზაცია შემცირდა და დაღმასვლა დაიწყო. ეს განსაკუთრებით საქართველოს დაეტყო. ჩვენი ქვა-ნახშირი დიდი რაოდენობით გამოიყენებოდა როგორც კოქსო კონცენტრანტი. ასევე გამოიყენებოდა ენერგეტიკაში, მეტალურგიაში და გარკვეული რაოდენობა გადიოდა საზღვარგარეთ (იგზავნებოდა უკრაინის თბოელექტროსადგრუში). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვა-ნახშირის რეალიზაცია გახდა მტკივნეული წერტილი. 1995 წლიდან ფაქტობრივად უძრაობის რეჟიმში გადავედით, შახტები სულს ღაფავდა. ორმა შახტამ ამოწურა მარაგები და დარჩენილი ორი კი ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იმ დროს კომპანიაში დაახლოებით 300 თანამშრომელი იყო დარჩენილი. ეკონომიურადაც ცუდ მდგომარეობაში ვიყავით. ჩვენი მიზანი იყო შეგვენარჩუნებინა შახტები, ამიტომ სახელმწიფოსთვის დიდ ტვირთად ვეწექით.

2006 წელს გავხდით კერძო საწარმო. 2008 წლიდან თანდათანობით აღდგა ქვა-ნახშირის წარმოება. ბოლოს, ყველაზე დიდი გაჩერება 15 თვეს გაგრძელდა (2018 წლის უბედური შემთხვევების გამო). მოხდა საწარმოს შეჩერება. ამან ძალიან ცუდად იმოქმედა შრომის დისციპლინაზე და ნაყოფიერებაზე. მეშახტეებს ხელფასს აძლევდნენ მაგრამ არაფერი კეთდებოდა.

რა ცვლილებები განხორციელდა 2019 წლიდან?

2019 წელს შემოვიდა გერმანული კომპანია DMT რომელმაც ჩაატარა შესწავლა, ინფასრტუქტურულ-ტექნოლოგიური პროცესების მიმართულებით გასცა რეკომენდაციები. მინდა მადლობა ვუთხრა ახალ კომპანიას, აქვთ გრძელვადიანი პროგრამა, სადაც გათვალისწინებულია მოპოების გაზრდა, მომხმარებლის მოძიება, პირობების გაუმჯობესება. მათი მოსვლის დღიდან, უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. გასაკეთებელი კიდევ ბევრია. შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის მხივ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. უნდა აღინიშნოს, რომ კვალიფიციური პერსონალის სერიოზული დიფიციტია - როგორც ინჟინერ-ტექნიკოსების, ისე მუშა პერსონალის. სამთოელობა ყოველთვის ძალიან პრივილეგირებული პროფესია იყო. სამთო-გეოლოგიურს რომ დაამთავრებდა ადამიანი, დიდ პრესტიჟად ითვლებოდა და გოგონებსაც მოსწონდათ. რთული პროფესიაა, მაგრამ ვაჟკაცური. მინდა მომავალშიც ასე იყოს. გამიხარდება, თუ ახალგაზრდები ამ პროფესიას დაეუფლებიან და წარმატებულ სპეციალისტებად ჩამოყალიბდებიან.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ სამუშო პროცესი უსაფრთხოდ და ეფექტიანად წარიმართოს?

სამთო საწარმოები 24 საათიან რეჟიმში მუშაობს და უსაფრთხოების წესების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია. თითოეულ ჯგუფს ჰყავს თავისი ინჟინერ-ტექნიკური ხელმძღვანელი, რომელსაც უსაფრთხოების დაცვა ევალება. ჩვენ თუ არ დავუშვებთ შეცდომას, არაფერი მოხდება (ყოფილა ბუნებრივი მოვლენებიც, მაგალითად მიწისძვრები, მაგრამ სხვათა შორის, ბიძგები მიწის ქვეშ უფრო ნაკლებად იგრძნობა).

ჩვენს საქმეში დისციპლინა და უსაფრთხოების წესების დაცვა უმთავრესია. ამ მხრივ ნელ-ნელა მივდივართ უკეთესობისკენ, იდგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯები. უკვე ფუნქციობს ავტომატური საგაზო დაცვის სისტემა. ბურღვა-ფეთქვითი სამუშაოებისას თანამშრომლების უსაფრთხო ადგილზე, სპეციალურ თავშესაფრებში გადმოყვანა განსაუთრებულად კონტროლდება. წესრიგდება სალიანდაგო მეურნეობები, გვირაბები, თავისი კვეთებით. მოწესრიგდა ადმინისტრაციული შენობა. კეთდება სველი წერტილები, აბანო-გარდერობები. ხდება თანამშრომლების გადამზადება, სწავლება და ინსტრუქტაჟების ჩატარება.

როგორია კომპანიის გრძელვადიანი გეგმები მოპოვების მიმართულებით?

ამ დროისათვის, კომპანიას 331 მილიონ ტონაზე აქვს ლიცენზია აღებული. მოკლევადიანი პროგრამით გათვალისწინებულია 300 000 ტონაზე ასვლა, ხოლო გრძელვადიანი პროგრამა 500 000 ტონის და მომდევნო წლებში, მილიონი ტონის მოპოვებას ითვალისწინებს. იგეგმება 300 მეგავატიანი თბოელექტროსადგურის აშენება, რაც უმნიშვნელოვანესი პროექტია როგორც რეგიონისთვის, ისე მთელი საქართველოსთვის.

თემურ ჩუბინიძე: „ჩვენი მეშახტეები გმირები არიან“

მეშახტეების ქალაქი მწვანე ზონაა - პანდემიის პერიოდში, ტყიბულის მუნიციპალიტეტში ვირუსის არც ერთი შემთხვევა დაფიქსირებულა. ტყიბულში უსაფრთხოებისა და ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სადეზინფექციო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. აღნიშნულ აქტივობებში საკუთარი წვლილი შეაქვს კომპანია „საქნახშირს.“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, თემურ ჩუბინიძემ მუნიციპალიტეტისთვის ქვა-ნახშირის წარმოების მნიშვნელობაზე, კომპანია „საქნახშირის“ როლზე და პანდემიის დროს ერთობლივად ჩატარებულ ღონისძიებებზე ისაუბრა.

თემურ ჩუბინიძე: „ქვა-ნახშირი ტყიბულელებისთვის ყველაფერია. ისტორიულად, ტყიბული მშახტეთა ქალაქია. 2021 წელს ამ ქალაქს, როგორც მეშახტეთა დასახლებას, 175 წელი უსრულდება, საიუბილეო თარიღია. ქვა-ნახშირის მრეწველობა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის სოციალური, კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელია. ჩვენი გათვლებით, 20-25 წლის პერსპექტივაში, „საქნახშირს“ და ქვა-ნახშირის მრეწველობას ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ალტერნატივა არ აქვს. რა თქმა უნდა, იდეალური იქნება თუ ამასთან ერთად მეურნეობის სხვა დარგებიც განვითარდება. ჩვენი, ტყიბულელების ოცნებაა, რომ ქალაქმა დაიბრუნოს ის დიდება, რაც თავის დროზე ჰქონდა.

რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს, პრემიერის გადაწყვეტილებით „საქნახშირმა“ ამ რთულ პერიოდშიც გააგრძელა საქმიანობა და წვლილი შეაქვს ეკონომიკის მდგრადობაში. მინდა ხაზი გავუსვა ორ გარემოებას: თქვენ იცით, როგორ ებრძვის პანდემიას მსოფლიო და აღსანიშნავია ისიც, რომ მეშახტის ყოველდღიური შრომაც დიდ რისკებთან არის დაკავშირებული. ამიტომ, ჩვენი მეშახტეები ორგზის გმირები არიან. „საქნახშირის“ ხელმძღვანელობის სასახელოდ მინდა ვთქვა, რომ ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა ამ რთულ პერიოდში მაქსიმალურად დაიცვან უსაფრთხოების რეკომენდაციები და გვერდში დაუდგნენ ქვეყნის ეკონომიკას. ასევე, განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ყველა მეშახტეს, ვინც საკუთარი სიცოცხლის და ჯანმრთელობის რისკის ფასად, ქვეყნის ეკონომიკას უდგას მხარში.

მიუხედავად იმისა, რომ „საქნახშირი“ მოგებაზე ვერ მუშაობს, კომპანიამ გამონახა რესურსი და მოგვეხმარა ქალაქის დეზინფექციის სამუშაოების ჩატარებაში. გარდა ამისა, წვლილი შეიტანა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების საქმეშიც. ამისთვის მადლობა მინდა ვუთხრა „საქნახშირის“ ხელმძღვანელობას. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მერიის, “საქნახშირის“ და მისი თითოეული მეშახტის ურთიერთობას, ჩვენ ყოველდღიური, სისტემატური კონტაქტი გვაქვს. ერთმანეთს გვერდით ვუდგავართ ყველა საკითხში (თუ რაიმე პრობლემაა, როგორც მუნიციპალიტეტში ისე „საქნახშირის“ სტრუქტურაში). ვცდილობთ, რომ ერთობლივი ძალებით გავუმკლავდეთ არსებულ გამოწვევებს. ამ რეჟიმში მომავალშიც გავაგრძელებთ საქმიანობას. თითოეული ტყიბულელი მოწოდებულია იმისაკენ, რომ „საქნახშირი“ განვითარდეს, გაძლიერდეს და მისი ინფრასტრუქტურა იყოს სრულყოფილი; ადამიანის შრომის უსაფრთხოება და სიცოცხლე იყოს დაცული - უპირველესი ღირებულება დედამიწაზე. ჩვენ გავაგრძელებთ ინტენსიურ თანამშრომლობას.“

თაბუკაშვილის ქუჩაზე ხიდის მშენებლობა მიმდინარეობს

ტყიბულში, თაბუკაშვილის ქუჩაზე 12 მეტრი სიგრძის და 4 მეტრი სიგანის საავტომობილო ხიდის მშენებლობა მიმდინარეობს. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, ხიდის მშენებლობის პროექტი სტიქიის ლიკვიდაციის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და მისი ღირებულება 71 700 ლარს შეადგენს.

ახალი ხიდი თაბუკაშვილის ქუჩაზე მცხოვრებ რამდენიმე ოჯახს წლების განმავლობაში არსებულ პრობლემას მოუგვარებს და სასწრაფო დახმარების სერვისის შეუფერხებლად მიღებასთან ერთად, უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილებას შეძლებენ. აღსანიშნავია, რომ თაბუკაშვილის ქუჩის მცხოვრებთა ნაწილი წლებია გადასაადგილებლად ხიდის ნაცვლად მდინარის ფონით სარგებლობს.

ტყიბულში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსისა და პარკის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს

ტყიბულში, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსისა და პარკის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციია მიმდინარეობს, რომლის ღირებულებაც 869 988 ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია არსებული სკვერის ქვის ფილებით მოპირკეთება, შადრევნის რეაბილიტაცია, ხელოვნურსაფარიანი პატარა მოედნის მოწყობა, სპორტული ტრენაჟორებისა და ძელსკამების განთავსება. რეაბილიტაციის შემდგომ, აღნიშნულ ტერიტორიას ძველი ფუნქცია დაუბრუნდება. სპორტის სასახლესთან და საცურაო აუზთან ერთად, ერთ კომპლექსში მოექცევა დასასვენებელი, სპორტული და გასართობი სივრცეები.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია ,,გლობალ სტანდარტ მშენი” ახორციელებს.

მუხურელი მეშახტეებისთვის მიკროავტობუსი დაინიშნა

კომპანია“საქნახშირის“ გადაწყვეტილებით, მაღალმთიან სოფელ მუხურაში მცხოვრები მეშახტეებისთვის მიკროავტობუსი დაინიშნა. მიკროავტობუსი ტყიბულიდან მუხურას მიმართულებით ყოველდღე, დილის 10 სთ-ზე და საღამოს 16 სთ-ზე გადის; მუხურადან კი ტყიბულის მიმართულებით დილის 11.00 სთ-ზე და საღამოს 17.00 სთ-ზე გამოდის.

ტყიბულის პირველადი პროფკავშირების თამვჯდომარის, გაგა ისაკაძის ინფორმაციით, კომპანია „საქნახშირმა“ გაითვალისწინა მეშახტეთა პროფკავშირების თხოვნა. მიკროავტობუსი მეშახტეებს ყოველდრიურად უფასოდ მოემსახურება, რაც დაზოგავს მათ დროს და ფინანსებს.

ბეჟან ბოჭორიშვილი, მეშახტე: „უნდა დანიშნულიყო მიკროავტობუსი მეშახტეებისთვის. იმიტომ, რომ ვშრომობთ ხალხი, მეშახტეები ყოველთვის დაფასებულები იყვნენ და მომავალშიც ასე უნდა იყოს.“

როინ ბუცხრიკიძე, მეშახტე: „მართლა აუცილებელია ეს ტრანსპორტი მეშახტეებისთვის, ძალიან მოსახერხებელია ჩვენთვის - მივყვებით სოფელში, ვაკეთებთ საქმეს და მოვდივართ ქალაქში. გაგვიადვილდა გადაადგილება.“

„საქნახშირის“ თანამშრომლები კმაყოფილები არიან მიკროავტობუსის დანიშვნით, რადგან აღარ უწევთ ტრანსპორტის ლოდინი, დროულად და შეუფერხებლად მიდიან სამსახურში, რისთვისაც მადლობას უხდიან კომპანიის ხელმძღვანელობას.

ტყიბულის შემოსასვლელში ფირნიში განახლდა!

ქალაქის შემოსასვლელში (ქუთაისი-ტყიბულის მაგისტრალზე) „ტყიბულის“ აღმნიშვნელი წარწერის რეაბილიტაცია განხორციელდა. პროექტის ფარგლებში განახლდა წლების წინ დაზიანებული ფირნიში და მოეწყო განათება.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით ფირნიშის რეაბილიტაცია ადილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა, რომლის ღირებულება 10 000 ლარს შეადგენს.

„საქნახშირის“ წვლილი ტყიბულში ჩატარებულ სადეზინფექციო სამუშაოებში

საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის მიერ, საგანგებო მდგომარეობის პირობების შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში, 14 აპრილს, ტყიბულის მეშახტეთა პირველადი პროფესიული კავშირის წარმომადგენლებმა, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების, დარგობრივი პროფკავშირისა და შპს ,,საქნახშირის" ადმინისტრაციის დახმარებით, ქალაქ ტყიბულში სადეზინფექციო სამუშაოები ჩაატარეს.

მეშახტეებისგან დაკომპლექტებულმა ჯგუფმა სადეზინფექციო ხსნარით დაამუშავა ტყიბულის სკვერებში არსებული საბავშვო ატრაქციონები და მოსასვენებელი სკამები, ბანკომატები, გამაგრილებელი და ცხელი სასმელების დანადგარები, სწრაფი გადახდის აპარატები და გაჩერებები. სადეზინფექციო ხსნარითა და ტექნიკური აღჭურვილობით, მეშახტეთა ჯგუფი შპს ,,საქნახშირმა" უზრუნველყო.

ტყიბულში, სოციალური პრობლემების მქონე ოჯახებს პირველადი საჭიროების საკვები პროდუქტები გადაეცათ!

ტყიბულში, კომპანია „საქნახშირმა“ და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ, კორონავირუსის ეპიდემიასთან დაკავშირებით გამოცხადებული საგანგებო რეჟიმის ფარგლებში, საქველმოქმედო აქტივობა განახორციელეს. ბენეფიციარი ოჯახები, რომლებიც სოციალურად გაჭირვებულთა და მრავალშვილიანთა კატეგორიას განეკუთვნებიან, კომპანია „საქნახშირში“ დასაქმებულებს შორის შეირჩნენ.

აქტივობები ორ ეტაპად ჩატარდა - პირველი ეტაპი აპრილის შუა რიცხვებში გაიმართა, მეორე კი მაისის დასაწყისში. საქველმოქმედო ღონისძიების ფარგლებში, შერჩეულ ბენეფიციარ ოჯახებს პირველადი საჭიროების საკვები პროდუქტები გადაეცათ. „საქნახშირისა“ და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების საქველმოქმედო აქციამ ჯამში 40 ოჯახი მოიცვა.

ზურაბ აღდგომელაშვილი („საქნახშირის“ დირექტორი): *„ძალიან საჭირო და დროული იყო იმ ადამიანების დახმარება, ვისაც ეს ახლა ყველაზე მეტად სჭირდება. მიხარია, რომ „საქნახშირი“ და პროფკავშირები ერთობლივად ასეთ კარგ საქმეს აკეთებენ. ერთმანეთის დახმარებითა და თანადგომით აუცილებლად გადავლახავთ ამ რთულ პერიოდს.“*

თამაზ დოლაბერიძე (საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე): *„საქართველოს პროფკავშირები, შპს „საქნახშირისა“ და შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ადმინისტრაციასთან ერთად აგრძელებს დაგეგმილ ღონისძიებებს, რომლებიც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დღიდან, ეტაპობრივად ხორციელდება. საქველმოქმედო აქტივობების გარდა ჩვენ ჩართულები ვართ ტყიბულის, ჭიათურის და ზესტაფონის სადეზინფექციო სამუშაოების პროცესში. ამისთვის მადლობა მინდა გადავუხადო „საქნახშირის“ და „ჯორჯიან მანგანეზის“ ადმინისტრაციას. ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია სოლიდარული ღონისძიებების განხორციელება და სოციალურად შეჭირვებულების ან მრავალშვილიანების დახმარება. ჩვენ ხელი უნდა შევაშველოთ ერთმანეთს, რომ ერთად გადავლახოთ ეს გლობალური გამოწვევა.“*

ბენეფიციარების ნაწილს პროდუქტები „საქნახშირის“ ადმინისტრაციული კორპუსის ტერიტორიაზე გადაეცათ. ღონისძიებას „საქნახშირის“ ადმინისტრაციისა და პროფესიული კავშირის გაერთიანების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მვირთვასო ილია, "საქნახშირი" გილოცავთ იუბილეს!

ილია სულამანიძე 2001 წლის 18 ივნისს, ტყიბულში დაიბადა. მისი სპორტული წარმატება 2012 წლიდან იწყება, როდესაც ის საქართველოს ჩემპიონი გახდა ქართულ ჭიდაობაში.

2014 წლიდან არის საქართველოს ასაკობრივი ნაკრების გუნდის წევრი, 2016-2017 წელებში გახდა საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში.

2017 წელს საქართველოს ჩემპიონატზე ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის III ადგილის დაიკავა.

2017 წელს პოლონეთში გამართული ევროპის ჩემპიონატის III ადგილის მფლობელი გახდა.

2017 წელს ლიტვაში, ევროპის ჩემპიონატის გუნდურ ასპარეზობაში ჩემპიონი გახდა.

2018 წელს საქართველოს ჩემპიონატში ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის II ადგილი დაიკავა.

2018 წელს გახდა რუსეთში გამართული ევროპის თასის I ადგილის მფლობელი ძიუდოში.

2018 წელს ჩეხეთში გამართულ ევროპის თასის შეჯიბრზე ძიუდოში III ადგილი დაიკავა.

2018 წელს რუმინეთში გამართულ ევროპის თასის შეჯიბრზე პირველი ადგილის მფლობელი გახდა ძიუდოში.

2018 წელი ბოსნია ჰერცოგოგინაში, ევროპის ჩემპიონატზე III ადგილი დაიკავა ძიუდოში.

2018 წელს ბუენოს აირესში გამართულ მესამე ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე, 100 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

2019 წელს ახალგაზრდებს შორის 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონი გახდა ძიუდოში.

2019 წელს ფინეთის ქალაქ ვანტაასში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, გახდა ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის 100კგ წონით კატეგორიაში.

ილია სულამანიძე ტყიბულში დაიბადა და გაიზარდა. ის ტყიბულის ძიუდოს დარბაზში 5 წლის ასაკიდან ვარჯიშობს. კომპანია „საქნახშირი“ ჯანმრთელობას და წარმატებას უსურვებს ჩვენს საამაყო თანამოქალაქეს!

ტყიბულელი მეშახტეების მადლობა საზოგადოებას

ფოტოხელოვან გოგა ჩანადირის ფეისბუქკამპანია #შენმნიშვნელოვანიხარ 29 აპრილს დაიწყო და უამრავი ადამიანი შეუერთდა. კამპანიის ფარგლებში საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებს, რომლებიც პანდემიის პერიოდშიც აგრძელებდნენ საქმიანობას, მათ შორის მეშახტეებს.

მოგვიანებით, კამპანიას "საქნახშირის" მეშახტეები გამოეხმაურნენ. ვიდეომიმართვაში მათ მადლობა გადაუხადეს კამპანიის ავტორს, გოგა ჩანადირს და ყველას, ვინც იმ ადამიანების შრომა დააფასა, რომლებიც საგანგებო მდგომარეობის დროს, საკუთარი ჯანმრთელობის რისკის ფასად, ხალხის კეთილდღეობისთვის მუშაობენ.

ტყიბულის საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“

84 წლიანი ისტორია



ДИДИ СПОРТУЛИ ЗЕИМИ

15 სექტემბერს ჩვენს მეშახტეთა ქალაქში საზეიმო ვითარებაში ეწესლოგაციაში შეხვ კოდეგ ერთი სტადიონი. მინდა ალვნიშნო, რომ ეს იქნება ერთ-ერთი უდამაზესი სტადიონი მთელ საბჭოთა კავშირში და შესანიშნავი საზუკარი ქალაქის მშრომელებისა და სპორტსმენებისათვის. სტადიონს აქვს ეთოლმოწყობილი გასამდეგები და ბანაბანა, შესანიშნავი სამედიცინო კაბინეტი და, რაც მთავარია, უმალესი ხარისხის საოთამაშო მინდორი.

მე ძრნად დარწმუნებული ვარ, რომ ეკეთდა საშეალოშეალოა საქმე და მინდა ჩვენი გუნდის სახელით მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მონაწილეობას ღებულობდა ამ ეკეთილ საქმეში: მუშებს, სტადიონის პერსონალს და ხელმძღვანელობას.

Ა. ᲫᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘᲐ.

გადმოეცა „მეშახტის“ ოსტატ. ფეხბურთელთა ეკუდან. სპორტის დამსახურებული ოსტატი. სპორტის სპორტის

ქვა-ნახშირის მოპოვების პარალელურად, ტყიბულში სპორტული ცხოვრება ჩქეფდა. ჯერ კიდევ 1936 წელს ქალაში საფეხბურთო კლუბი „ტყიბულის მეშახტე“ შეიქმნა. 1968 წელს კი ცენტრალური სტადიონი გაიხსნა, რომელიც იმ დროს ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოში. სტადიონი ოფიციალურად 17 000 ადამიანს იტევდა, გახსნის დღეს კი 22 000-ზე მეტმა ადამიანმა მოიყარა თავი. ცენტრალური სტადიონის გახსნამდე სპორტული შეხვედრები ძველ სტადიონზე იმართებოდა, რომელიც დღეს კლუბის საწვრთნელ ბაზას წარმოადგენს.

1965-67 წლებში საფეხბურთო გუნდს ანდრო ჟორდანია წრთვნიდა. წლების განმავლობაში ტყიბულის „მეშახტემ“ არაერთი საამაყო ტიტული მოიპოვა. ის გახდა:

- საქართველოს თასის მფლობელი 1964 და 1976 წლებში
- საქართველოს ჩემპიონი 1980 და 1981 წელს (ზედიზედ ორჯერ)
- საქართველოს სუპერთასის მფლობელი 1980 წელს
- 1960-70 წლებში კლუბმა მიაღწია ყველაზე დიდ წარმატებას და სტაბილურად ასპარეზობდა საბჭოთა კავშირის A კლასში (ეს იმ პერიოდში იყო რანგით მეორე ჩემპიონატი)

ბოლო პერიოდში, ყველაზე დიდ წარმატებას კლუბმა 2016 წელს “ეროვნული ლიგა 2”-ში გადასვლით მიაღწია. თუმცა, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი სეზონი იასპარეზა და “ლიგა 3”-ში ჩამოქვეითდა. კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი ტყიბულელი მერაბ ბაბუხადიაა, რომელსაც კლუბის ისტორიაში ორი რეკორდი ეკუთვნის: 1981 წელს მან ერთ სეზონზე (1 წელში) 65 გოლის გატანა შეძლო; მერაბს ეკუთვნის კიდევ ერთი რეკორდი - ერთ თამაშში ყვარელის „დურუჯს“ 5 გოლი გაუტანა და შეხვედრა „მეშახტემ“ 5:0 მოიგო.

ბოლო მონაცემებით, ტყიბულის სტადიონზე „მეშახტეს“ მატჩს საშუალოდ 700 გულშემატკივარი ესწრება, რაც დღეს საქართველოში დასწრების სტატისტიკის მიხედვით საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. ამ ეტაპისთვის გუნდში შემადგენლობის განახლება მიმდინარეობს. იმედია „მეშახტეს“ მალე ვიხილავთ დიდ სტადიონზე!

ტყიბულის ვალუტა

საქართველოს რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, 1918-1921 წლებში ტყიბულის შახტებში შეიქმნა ვალუტა. ეს გამოწვეული იყო მაშინდელი სოციალური სიტუაციით. სახელმწიფო ბონები ისე სწრაფად უფასურდებოდა, რომ მეშახტეები მაღაზიაში მისვლასაც ვერ ასწრებდნენ. მოსალოდნელი იყო გაფიცვები. ამიტომ, შახტების ხელმძრვანელობამ გადაწყვიტა დაებეჭდა საკუთარი ფულის ნიშნები, რომლებიც მხოლოდ ტყიბულის მაღაზიებში იმოქმედებდა. 1919 წელს დაიბეჭდა და ბრუნვაში შევიდა „ტყიბულის ვალუტა.“ მათი და სხვა საინტერესო ექსპონატების მონახულება „ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში“ არის შესაძლებელი.

ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ინფორმაცია

ლეგენდა „ცხრაჯვარზე“



ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ნაქერალას ქედზე, იშვიათი სილამაზის და უნიკალური მდებარეობის ადგილზე ყოველი წლის მაისის ბოლო შაბათს (ძველი სტილით) „ცხრჯვარობის“ დღესასწაული აღინიშნება.

ამ დღეს მომლოცველები „ცხრაჯვარის“ წმინდა გიორგის სალოცავზე საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიან. მთაში სალოცავამდე მისასვლელ რამდენიმე კილომეტრიან ბილიკს ფეხით გადიან, უფალს შემწეობას სთხოვენ და შესაწირს წირავენ.

ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, მრავალი წლის წინ, ტყიბულის რაიონის სოფელ ძიროვანში მცხოვრები ხალხი სრულწლოვან ასაკს ვერ აღწევდა. ისინი სხვადასხვა ავადმყოფობებითა და უბედური შემთხვევებით იღუპებოდნენ. მოსახლეობამ გამოსავალი რწმენაში დაინახა და სოფლის ყველაზე მაღალ ადგილზე, „ცხრაჯვარის“ მთაზე სალოცავი ააშენა. გადმოცემის მიხედვით, სალოცავის მშენებლობას დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირვებია, თუმცა რწმენით შეუძლებლის გაკეთება შეძლეს - როდესაც სალოცავი აშენდა და სოფლის მოსახლეობამ მასში ლოცვა დაიწყო, სოფელ ძიროვანს მამულიშვილი გაუმრავლდა.

წელს სალოცავზე დღესწაული 13 ივნისს აღინიშნა. „ცხრაჯვარი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტებს შორის.

ფოტომატიანე



საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე
ივლისი | 2020 | №1

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე,
გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე,
კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

"საქნახშირის"
კორპორატიული გამოცემა